ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡ № 210 (13026) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲡᲕᲘᲢᲛᲑᲔᲠᲘ, 1964 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დათვალიერა სამშენებლო და საგზაო მანქანებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა საერთაშორისო გამოფენა ლუჟნიკში.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გამოფენაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. ს. პოლიანსკი და კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების წარმომადგენლები და სხვა ამხანაგები.

სამშენებლო ტექნიკის გამოფენაში მონაწილეობს 19 ქვეყანა. მათ წარმოადგინეს სამი ათასი ექსპონატი. თხუთმეტ დღეში გამოფენა დათვალიერა მილიონზე მეტმა მოსკოველმა, დედაქალაქის საბჭოთა და უცხოელმა სტუმარმა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოფენის დათვალიერება დაიწყეს საბჭოთა განყოფილებით, სადაც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ას საწარმოში დამზადებული ორასზე მეტი ექსპონატი. მათ დათვალიერეს პოლიგონი, სადაც მოქმედ მანქანებს ცდიან, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის პავილიონები და მოედნები, გაეცნენ ექსპონატებს, რომლებიც წარმოადგინეს ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ფირმებმა.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ე. ს. ნოვოსელოვი და გამოფენის გენერალური დირექტორი ა. კ. პავლენკო. (საკდესი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ 1964 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

ორი დღის წინათ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან, სადაც მეგობრული ვიზიტით იყო. მე მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები იმაზე, რაც ვნახეთ მომმე ჩეხოსლოვაკიაში, ჩვენი მოგზაურობის შედეგებზე.

პირველი წუთებიდანვე, როგორც კი ფეხი დავდგით ჩეხოსლოვაკიის მიწაზე, შესანიშნავი ქალაქის პრაღის მცხოვრებნი მეტად გულითადად, ძმურად შეხვდნენ ჩვენს დელეგაციას, და მთელი ვიზიტის მანძილზე ჩვენ ვგრძნობდით ამ გულთბილობასა და გულითადობას. ეს იყო უაღრესად გულწრფელი გრძნობების გამოვლინება. ასეთი გრძნობები მხოლოდ გულის სიღრმიდან მოდის. ისინი ნათლად მოწმობენ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა დიდ სიყვარულსა და მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

მე მითხრეს, რომ ამ ჩემს გამოსვლას გადასცემს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რადიო და ტელევიზია. ვსარგებლობ ამით და კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს:

— დიდი მადლობა ძმური მეგობრობის გრძნობებისათვის, რაც თქვენ გაქვთ საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი.

მინდა კიდევ ერთხელ მხურვალე მადლობა გადავუხადო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პირველ მდივანსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს, ჩვენს დიდ მეგობარს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, მის თავმჯდომარეს ამხანაგ იოზეფ ლენარტს და ყველა ამხანაგს, რომლებსაც შეეხვდით ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის დღეებში ჩვენ ახალი ძალით ვიგრძენით, თუ რა მტკიცე და ურღვევია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრობა. ამ მეგობრობას შორეულ წარსულში აქვს ფესვი გადგმული, იგი განსაკუთრებით გამოიწრთო და განმტკიცდა ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და შედუღაბდა ჩვენი ხალხების ქალაშვილებისა და ვაჟაშვილების სისხლით, რომელიც ომის წლებში დაიღვარა.

როგორც ცნობილია, ჩვენი დელეგაცია მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენის — სლოვაკთა ეროვნული აჯანყების 20 წლისთავის ზეიმში. ამ მოვლენის ხსოვნა ძვირფასია არა მარტო ჩეხებისა და სლოვაკებისათვის, არამედ საბჭოთა ადამიანებისთვისაც. აქ ჩეხებთან და სლოვაკებთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსები, უკრაინელები, საბჭოთა კავშირის ბევრი ხალხის წარმომადგენლები, სხვა ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლები.

ტყუილად როდია ნათქვამი, რომ ჭეშმარიტ მეგობრებს უძნელესი განსაცდელის ჟამს იცნობენ. და ვერაფერი ვერ შეედრება იმ მეგობრობას, რომელიც ყალიბდება და მტკიცდება საერთო საქმისათვის ბრძოლაში. ეს წმიდა მეგობრობაა, და ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენი ჩეხი და სლოვაკი მეგობრები, ისევე როგორც ჩვენ, ერთგულნი არიან ამ ძმური მეგობრობისა.

სლოვაკთა ეროვნული აჯანყების მე-20 წლისთავის ზეიმზე ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში შეიკრიბა ამ აჯანყების ბევრი მონაწილე. ჩეხებისა და სლოვაკების გვერდით იდგნენ საბჭოთა ადამიანები — ყოფილი პარტიზანები, ჯარისკაცები, მეთაურები — იმ წლების ბრძოლების მონაწილენი. ამ მამაც ადამიანთა, სახელოვან პატრიოტთა მკერდს ამშვენებდა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის საბრძოლო ორდენები.

მიტინგმა და საჰაერო პარადმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ყველა, ვინც საჰაერო პარადზე იყო, აღფრთოვანებულია ჩეხოსლოვაკიელი მფრინავების ოსტატობითა და მამაცობით, რომლებმაც თანამედროვე რეაქტიულ ავიაგამანადგურებლებზე და სხვა თვითმფრინავებზე გვიჩვენეს პილოტაჟის მაღალი ტექნიკა.

ერთხელ ბურჟუაზიულ პრესაში წავიკითხე, რომ ჩეხოსლოვაკიას უწოდებენ ვარშავის ხელშეკრულების მოხაწილე ქვეყნების ერთ-ერთ დასავლეთ ფორპოსტს. დიახ, მართლაც, ეს საიმედო ფორპოსტია. საბჭოთა კავშირს, სოციალიზმის ყველა ქვეყანას, რომლებიც ახორციელებენ მშვიდობიანი შემოქმედების გრანდიოზულ გეგმებს, ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ დაიცვან თავი და თავიანთი მეგობრები.

ამხანაგებო, არ შემიძლია არ გიამბოთ კიდევ ერთი შეხვედრის შესახებ. ზეიმის დღეს, საღამოს ყოფილმა პარტიზანებმა მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები და ჩვენი დელეგაცია ტყეში ქალაქ ბანსკა-ბისტრიცას მახლობლად. მთებში კოცონი დაანთეს. ჩვენ ამ კოცონს შემოვუსხედით და დაიწყო საუბრები, წარსული დღეების გახსენება. ერთ-ერთმა ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგმა თქვა: პარტიზანებად რომ ვიყავით, ერთ-ერთი ჩვენი საყვარელი სიმღერა იყო საბჭოთა პარტიზანული სიმღერა „მთა და ბარში...“ და მაშინვე ყველამ ერთხმად წამოიწყო ეს სიმღერა. ოცი წელი გავიდა ღირსსახსოვარი პარტიზანული დღეების შემდეგ და სლოვაკიის მთებში კვლავ გაისმა დაუვიწყარი სიტყვები: „არ ჩაქრება ამ დღეთა დიდება...“.

დიახ, ამხანაგებო, ჩვენი ხალხების გმირობა, გმირთა დიდება, დიდება იმათი, ვინც ცოცხალია, და იმათი, ვინც დაიღუპა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, არასოდეს არ ჩაქრება!

ჩეხოსლოვაკიის მიწაში ჩეხებისა და სლოვაკების გვერდით განისვენებენ საბჭოთა ქვეყნის ვაჟიშვილები და ქალიშვილები, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ ბრძოლაში ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ვნახეთ, რა სიყვარულით უვლიან ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები საბჭოთა მეომრების საფლავებს. ჩვენ გვირგვინებით შევამკეთ ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტების ძეგლი, საბჭოთა ჯარისკაცებისა და პარტიზანების ძეგლი.

ერთ-ერთ ძეგლზე ამოკვეთილია წარწერა:

„ცოცხლებო, გახსოვდეთ ბრძოლების მსხვერპლნი!

დაფიქრდი, როგორ იტანჯებოდნენ დაღუპულნი, როგორ მიდიოდნენ ცეცხლში შენი ოცნებისა და იდეალებისათვის საბრძოლველად“.

ეს სიტყვები ყოერს არა მარტო როგორც დაღუპულთა ხსოვნა, არამედ როგორც რჩევა-დარიგება ცოცხლებისათვის. გასულ ომის გაკვეთილები მეტყველებენ, რომ საჭიროა ფხიზლად ვიყოთ, გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ არ გაჩაღდეს ახალი ომის ხანძარი. უნდა გავაერთიანოთ მთელი ძალები, რომლებიც ილაშქრებენ ომის წინააღმდეგ, პროგრესისათვის. ჩვენ გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ბრძოლა მტკიცე მშვიდობისათვის ყველა ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა.

შეიძლება თავიდან ავიცილოთ ომი, განვამტკიცოთ მშვიდობა, თუ ყველა ხალხი აქტიურად იბრძოლებს იმპერიალისტური ძალების ხრიკების წინააღმდეგ, რევანშიზმისა და ომის ძალების წინააღმდეგ. ჩვენ კარგად გვესმის: იმისთვის, რომ დავიცვათ მშვიდობის საქმე, დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვარი, უნდა გვქონდეს საიმედო დაცვა — მძლავრი შეიარაღებული ძალები, ყველაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილნი. იმპერიალისტებსა და რევანშისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ქვეყნებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ყველა აგრესორს.

თითქმის ორი ათწლეულია ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მიდის ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით. ჩვენი ვიზიტის დროს შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ ერთხელ გავცნობოდით სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მიღწევებს. მოკლე ისტორიულ დროში ჩეხოსლოვაკიის სოციალური ცხოვრება და თვით იერი ამ ქვეყნისა ძირეულად შეიცვალა. მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომლებიც ცხადყოფენ ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარებას. სახალხო ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოება ომისწინანდელთან შედარებით 4,6-ჯერ გაიზარდა. ეს დიდი მიღწევაა. ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიაც ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა იყო.

მრეწველობის მთელი რიგი დარგების წარმოების დონისა და ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

რასაკვირველია, ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში იყო თავისი სიძნელეები. ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა გულახდილად თქვეს, რომ შარშან მთელი რიგი მიზეზების გამო მრეწველობის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი. მაგრამ წელს ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა კარგი ტემპით ვითარდება.

ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდების გაუმჯობესების საკითხს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის ყველაზე ეფექტიანი ფორმების ძიება ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობს იმავე მიმართულებით, როგორითაც ჩვენს ქვეყანაში.

ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები განიხილავენ იმ საკითხს, რომ კიდევ უფრო წაახალისონ თვითეული მუშაკის შრომა წარმოებაში, რათა გადიდდეს როგორც რიგითი მუშაკების, ისევე საწარმოთა ხელმძღვანელების მატერიალური დაინტერესება ქარხნისა თუ ფაბრიკის საქმიანობის შედეგებით.

ჩვენი დელეგაცია იყო იან შვერმას სახელობის ქარხანაში. ეს არის მსხვილი სახალხო საწარმო, რომელიც უშვებს საავიაციო მოტორებსა და მათს სათადარიგო ნაწილებს. ეს კარგი მოტორებია, და ჩვენც სიამოვნებით ვყიდულობთ ამ ქარხნის პროდუქციას, ისევე როგორც ჩეხოსლოვაკიის ბევრი სხვა საწარმოს პროდუქციას. მე უკვე ვთქვი მიტინგზე პრაღაში, რომ ჩეხოსლოვაკიური მოწყობილობა და მანქანები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიელი მუშების შრომისმოყვარე ხელით არის დამზადებული, დადგმულია საბჭოთა კავშირის ბევრ საწარმოში.

იან შვერმას სახელობის ქარხანა საინტერესოა იმითაც, რომ იგი რამდენადმე ასახავს იმ გზას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მთელმა მრეწველობამ გაიარა. ქარხანა წარმოიქმნა ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს, როცა მოტოციკლების ნახევრადხელოსნური წარმოების ბაზაზე დაიწყეს ავტომობილების წარმოება. პირველი საავიაციო მოტორი ქარხანამ გამოუშვა 40 წლის წინათ. სახალხო ხელისუფლების წლებში ქარხანა გადიდდა, გადაიქცა თანამედროვე მსხვილ საწარმოდ. ქარხანაში უშვებდნენ და უშვებენ სხვადასხვა კონსტრუქციის საავიაციო მოტორებს.

ჩვენ ვესაუბრეთ ქარხნის ხელმძღვანელებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს. ცხადი იყო, რომ ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები წყვეტენ იმავე ამოცანებს, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე: ეს არის ბრძოლა შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ტექნიკური კულტურის ამაღლებისათვის, შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით აგრეთვე ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და წარმოებას. რესპუბლიკაში ახლა 7.626 კოოპერატივია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და სახელმწიფო მეურნეობებს მთელი სახნავი მიწის თითქმის 92 პროცენტი აქვთ.

უნდა ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიის სასოფლო-სამეურნეო წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზეა, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს სოციალიზმის ქვეყნებს შორის. მარტო კოოპერირების წლებში (1948-1963 წლები) სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია ჩეხოსლოვაკიაში გადიდდა 34 პროცენტით. ხოლო სასაქონლო — 90 პრო-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1964 წლის 5 სექტემბერს დილით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი ელიზაბეტ ჰერლი ფლინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ადამიანები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კომუნისტს, პროგრესისა და დემოკრატიის ყველა მომხრეს მძიმე დანაკლისის — ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის, ამერიკისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გარდაცვალების გამო. ამხანაგ ელიზაბეტ ფლინის გარდაცვალება დიდად სამწუხაროა და დიდი დანაკლისია ყველა ადამიანისათვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმე.

მთელი თავისი ნათელი და მჩქეფარე სიცოცხლე ამხანაგმა ფლინმა მოახმარა კეთილშობილურ საქმიანობას ამერიკელი ხალხის ბედნიერებისა და ნათელი მომავლის საკეთილდღეოდ. ამხანაგი ელიზაბეტ ფლინი ახალგაზრდობიდანვე დაადგა ძნელ, მაგრამ ამერიკის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის სახელოვან გზას და ღირსშესანიშნავი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა, სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში. თითქმის 60 წლის განმავლობაში ამხანაგი ელიზაბეტ ფლინი თვალსაჩინო როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა ბევრ გამოსვლაში იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, დემოკრატიული უფლებებისა და სოციალური სამართლიანობისათვის. მასების მებრძოლი ორგანიზატორი, დაუღალავი მებრძოლი, მგზნებარე ორატორი, შესანიშნავი პუბლიცისტი — ასეთი დარჩება მუდამ ამხ. ფლინი მისი ამხანაგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

თავისი ერთგულებით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი მან დიდი ავტორიტეტი და კანონიერი პატივისცემა დაიმსახურა ყველა ქვეყნის კომუნისტთა შორის.

ჩვენი პარტიის წევრები, საბჭოთა ადამიანები არასდროს არ დაივიწყებენ ამერიკელი ხალხის სახელოვან შვილს, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განვითარებისათვის მგზნებარე მებრძოლს ამხანაგ ელიზაბეტ ჰერლი ფლინს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲓᲦᲔᲚ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲭᲐᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲜᲐᲨᲝᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲙᲙᲙ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიღოცავს როსტოვის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოთა, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებს, ყველა მშრომელს დიდი შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ქაბულიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ა. ნ. კოსიგინის** მეთაურობით. დელეგაცია ავღანეთში იმყოფებოდა ავღანეთის მთავრობის მიწვევით და მონაწილეობდა ზეიმში იმის გამო, რომ ჰინდუყუშის მთაგრეხილზე საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა საავტომობილო მაგისტრალი. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲠᲐᲦᲐ, 7 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ჩეხოსლოვაკიაში ორი ქვეყნის დიადი მეგობრობის ნამდვილი მანიფესტაცია გახდა, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ დავიდმა, რომელიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციულ დღესასწაულზე გამოვიდა იგლავაში. ამ ვიზიტმა კვლავ ცხადყო, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, ორი ქვეყნის მთავრობებს შორის არის შეხედულებათა სრული ერთობა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის, საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებში. საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის შედეგები კეთილსაყოფილერ გავლენას მოახდენს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარებაზე.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ვ. დავიდმა საზეგაზმით აღნიშნა, რომ ომის ძალებზე მშვიდობის ძალების გამარჯვების ერთ-ერთი წანამძღვარია თანამედროვე რევოლუციური ძალების ერთობა და შეკავშირება. ჩვენ ვიმბობთ გათიშვის გზას, რასაც დაადგნენ ჩინეთის ხელმძღვანელები.

ჩვენ, განაგრძო ვ. დავიდმა, მხარს ვუჭერთ წინადადებას ახალი საერთაშორისო კომუნისტური თათბირის მოწვევის შესახებ, რადგან იგი განამტკიცებს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საბრძოლო კავშირს მშვიდობისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ქაბულიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ა. ნ. კოსიგინის** მეთაურობით. დელეგაცია ავღანეთში იმყოფებოდა ავღანეთის მთავრობის მიწვევით და მონაწილეობდა ზეიმში იმის გამო, რომ ჰინდუყუშის მთაგრეხილზე საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა საავტომობილო მაგისტრალი. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ განიხილა და მოიწონა წულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა ინიციატივა იმის შესახებ, რომ გაიჩაღონ მუშაობა ადგილობრივი გზებისა და ხიდ-ბოგირების კეთილმოწყობისათვის.

აღნიშნულ საწარმოო სამმართველოებში გამოცხადდა სასოფლო გზების კეთილმოწყობის ერთთვიური — წულუკიძის საწარმოო სამმართველოში — 1-დან 30 სექტემბრამდე, გარდაბნის საწარმოო სამმართველოში — 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ რეკომენდაცია მისცა ყველა საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს მხარი დაუჭირონ წულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა ინიციატივას და გააჩაღონ მუშაობა სასოფლო გზების კეთილმოწყობისათვის.

(წერილი წულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა ინიციატივის შესახებ იხილეთ მე-2 გვერდზე).

ᲓᲦᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲝᲙᲛᲔ ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ. 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სოფიაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

Გი მოლე: „ᲮᲔᲚᲡ ᲜᲣ ᲕᲣᲨᲚᲘᲗ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ“

ᲑᲝᲜᲝ. (საკდესი). დასავლეთმა არაფერი არ უნდა გააკეთოს ისეთი, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს დაძაბულობის შენელებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გი მოლემ ინტერვიუში დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტის „პარლამენტარიშ-პოლიტიშერ პრესეედინსტისადმი“.

გი მოლემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ცდილობენ ხელი შეუშალონ ატომური ომის გაჩაღებას.

შეეხო რა საფრანგეთის „ეროვნული ატომური ძალების“ შექმნის პრობლემას, გი მოლემ ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტია ამ იდეის წინააღმდეგია.

საფრანგეთის სოციალისტური პარტია, როგორც გი მოლემ აღნიშნა, წინააღმდეგია აგრეთვე ატომური იარაღის გავრცელებისა და იმ სახელმწიფოთა რიცხვის გადიდებისა, რომლებსაც ეს იარაღი აქვთ.

ᲤᲝᲜ ᲭᲐᲡᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲚᲘᲪᲐᲠᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲗᲕᲐ

ᲑᲝᲜᲝ. (საკდესი). „წინა ხაზის სტრატეგიის“ შემდგომ განხორციელებას დაუჭირა მხარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ფონ ჰასელმა სიტყვაში, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მომხრეთა კრებაზე წარმოთქვა ვისბადენში.

თავის სიტყვაში ფონ ჰასელმა კვლავ გაიმეორა მონაპორები „აღმოსავლეთიდან თავდასხმის“ საფრთხის შესახებ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

ცენტით. შარშან აღებულ იქნა: ხორბალი — 24,3 ცენტნერი ჰექტარზე, ჭვავი — 20,2 ცენტნერი ჰექტარზე, ქერი — 23,3 ცენტნერი ჰექტარზე, შაქრის ჭარხალი — 293 ცენტნერი ჰექტარზე. ეს, რა თქმა უნდა, პატარა ციფრები როდია, მაგრამ ზღვარიც არ არის. ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების, ქიმიის განვითარების სასელექციო მუშაობის საფუძველზე მოიპოვონ უფრო მაღალი შედეგები.

ამხანაგმა ნოვოტნიმ მიამბო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებებს უწინარეს ყოვლისა მინერალური სასუქების წარმოების გადიდების გზით.

ვეწვიეთ კსაიროვის მეფრინველეობის ფაბრიკას. ამ ფაბრიკაში ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება კარგად არის დაყენებული. მე ვიტყოდი, იგი რამდენადმე სანიმუშოც არის, რადგან გვიჩვენებს იმ გზას, რომლითაც უნდა განვითარდეს ფრინველის ხორცის ახლანდელი მაღალპროდუქტიული წარმოება. როცა დამთავრდება ამ ფაბრიკის მშენებლობა, მისი მწარმოებლობა წელიწადში 2.300 ტონა ფრინველის ხორცი იქნება.

ეს ფაბრიკა იმ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც მომავალი აქვთ. ფრინველის მოვლა-მოშენების ის მეთოდები რასაც ჩვენ დღემდე ვჯერდებოდით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — არსებითად გუშინდელი დღეა. ახლა უნდა დავიწყოთ ხორცისა და კვერცხის სამრეწველო წარმოება.

ამ ფაბრიკის მაგალითით დავრწმუნდით, რომ ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები დაადგნენ ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების ინტენსიფიკაციის გზას. ეს განვითარების სწორი პერსპექტიული გზაა.

როცა ამ ფაბრიკის კოლექტივს შევხვდი, ვუამბე, თუ რა ღონისძიებებს ვსახავთ იმისათვის, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება მეფრინველეობის პროდუქტებზე მეფრინველეობის ფაბრიკებსა და სხვა სპეციალიზებულ მეურნეობებში ამ პროდუქტების წარმოების გზით. ნება მიბოძეთ დაწვრილებით არ ვილაპარაკო ამაზე. ფრინველის ხორცისა და კვერცხის სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში.

ჩვენი მეფრინველეობის ფაბრიკების ახალი პროექტების შემუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ ჩეხოსლოვაკიელი ამხანაგების დადებითი გაჩოცდილება. თუმცა ჩვენ გვაქვს თანამედროვე მეფრინველეობის ფაბრიკები, მაგრამ სასარგებლოა, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა გამოიყენონ სხვების კარგი გამოცდილება. ჩვენ ვთხოვეთ ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება, და ისინი ხალისით დაგვთანხმდნენ ამაზე.

ჩვენი დელეგაცია იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „თავისუფლებაში“. ეს მეტად საინტერესო, დიდად განვითარებული მეურნეობაა. იქ ბევრი რამ არის საგულისხმო. მინერალური სასუქების გამოყენებისა და მიწის კარგად დამუშავების საფუძველზე კოოპერატივმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავლიანობას მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ 1963 წელს ხორბლის მოსავლმა შეადგინა 43 ცენტნერი ჰექტარზე, ჭვავის მოსავლმა — 30 ცენტნერი, კარტოფილისამ — 165 ცენტნერი, შაქრის ჭარხლის მოსავლმა — 382 ცენტნერი ჰექტარზე.

წელსაც აქ უხვი მოსავალი მოიყვანეს. ჩვენ გვითხრეს, რომ წელს კოოპერატივმა მოიყვანა 44,8 ცენტნერი ბარდა ჰექტარზე.

როცა სკანდინავიაში ვიყავით, იქ გვაჩუქეს სანაშენო დეკეულები და მოზვრები. ეს კაპიტალისტურ ფერმებში მომზადებული კარგი პირუტყვია.

მაგრამ სოციალისტურ მეურნეობებშიც აშენებენ კარგი ჯიშის პირუტყვს. და ჩეხოსლოვაკიაში გვაჩუქეს სახორცე-სარძეო ჯიშის წითელმბრეული სანაშენო დეკეული. როგორც გვითხრეს, ამ დეკეულის დედის რძის ცხიმიანობა 4 პროცენტს აღემატება. ამ კოოპერატივში კარგი ჯიშის ღორები ჰყავთ. ჩვენ გვაჩუქეს აგრეთვე ჯიშიანი ნეზვი, ორი ცენტნერი ხარისხოვანი ბარდა.

სულით და გულით მადლობას ვუძღვნით ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს ამ საჩუქრებისათვის. ჩვენ ყაირათიანი ხალხი ვართ, და გამოვიყენებთ ამ საჩუქრებს ჩვენს მეურნეობებში.

ინტერესით გავეცანით პრაღის საბინაო მშენებლობას. კერძოდ, დავათვალიერეთ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის დასავლეთი ნაწილის ახალი რაიონი. ეს რაიონი მაღლობზე მდებარეობს. მიკროკლიმატისა და ჰაერის სისუფთავის თვალსაზრისით მას ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, რადგან ესაზღვრება დიდ მწვანე მასივს. იმაშიც კი, თუ რა მარჯვედ არის არჩეული მასობრივი განაშენიანების ადგილი, გამოვლინდა არქიტექტორთა ყურადღება მომავალ მცხოვრებთა საჭიროებებისადმი. ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა ნიმუშის სახლები, სხვადასხვა სამშენებლო კონსტრუქციები. რაც მთავარია, ბინებს აქვთ კარგი შიდა მოპირკეთება. ეს ჩვენ ბეჯითად უნდა ვისწავლოთ.

ერთი სიტყვით, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ცხოვრების რა მხარესაც უნდა გავცნობოდით, იგი ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრებისადმი დიდ ინტერესსა და სიამაყის გრძნობას იწვევდა.

დაგვამახსოვრდა ხალისიანი ნიჭიერად შესრულებული კონცერტი ბანსკა-ბისტრიცაში. ამ კონცერტზე ვგრძნობდით შემოქმედებითი ინტელიგენციის მჭიდრო კავშირს ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლასთან.

სოციალიზმის ყოველი ქვეყანა ძვირფას გამოცდილებას იძენს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ფართოდ ვუზიარებთ რა ერთმანეთს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გამოცდილებას, ჩვენ ვაჩქარებთ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ტემპს. ჩვენს ქვეყნებს აქვთ ის ფასდაუდებელი უპირატესობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რომ ერთმანეთს არ ვუმალავთ წარმოების საიდუმლოებებს. პირიქით, ხალისით ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს მიღწევებს, საუკეთესო გამოცდილებას, და ეს უპირატესობა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენ მივგიწვიეს ქალაქ ბრნოში საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელზეც წარმოდგენილია სოციალისტური ქვეყნებისა და კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნების მრეწველობა. ამ ბაზრობაზე დიდი ინტერესით გავეცანით ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ტექნიკურ სიახლეებს. ასეთი ბაზრობები სასარგებლოა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის, სახელმწიფოთა ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის.

ქალაქ ბრნოს, ისევე როგორც სხვა ქალაქების, მცხოვრებნი გულთბილად და გულითადად გვხვდებოდნენ. მინდა სულით და გულით მადლობა ვუძღვნა მათ მეგობრული მიღებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა დიდ გამარჯვებებს მიაღწია და თავისი წვლილი შეიტანა სოციალისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში. ეს შედეგია ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

ჩვენი ვიზიტის დროს შეხვედრები და საუბრები გვქონდა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები ორივე პარტიისათვის, ჩვენი ქვეყნებისათვის საინტერესო პრობლემების ფართო წრის შესახებ. ჩვენი მოლაპარაკების შედეგები აისახა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც პრესამ გამოაქვეყნა.

ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა და ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ სავსებით ერთსულოვანი ვართ ყველა საკითხში. მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი ორივე პარტიისა და მთავრობის შეხედულებათა და პოზიციათა ერთიანობა.

მოლაპარაკების დროს შევეხეთ ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს. ჩვენ ახლა კარგი ურთიერთობა გვაქვს ჩეხოსლოვაკიასთან, მაგრამ ამ ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებისა და განმტკიცების შესაძლებლობა დიდია, და ამ თანამშრომლობის გაფართოებით დაინტერესებული არიან ჩეხოსლოვაკია და საბჭოთა კავშირი.

ჩვენთან საუბრებში ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაახლოვდეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, გაღრმავდეს სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, განვითარდეს სპეციალიზაცია და კოოპერირება, შეეხნენ სხვა საკითხებსაც. ჩვენი დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებებს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივ განცხადებაში ჩამოყალიბებულია ჩვენი საერთო შეხედულებანი საერთაშორისო საკითხებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც შეუპოვრად იბრძოლონ ხალხთა მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია იბრძოლებენ ევროპაში უშიშროების განმტკიცებისათვის, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩვენს პარტიებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იბრძოლონ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ კაცობრიობა ვითარდებოდეს მშვიდობისა და პროგრესის გზით.

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალისტები ამჟამად იმედს ამყარებენ ნაციონალიზმზე, ანტიიმპერიალისტური ფრონტის ძალების გათიშვაზე.

ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ ჩინელ ხელმძღვანელთა გამთიშველ საქმიანობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, ისევე როგორც მეტი წილი სხვა მოძმე პარტიები, ერთნაირი შეხედულებისა არიან იმ საკითხში, რომ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის გამთიშველი საქმიანობა ზიანს აყენებს კომუნისტურ მოძრაობას. არსებითად ჩინეთის ხელმძღვანელები, ასუსტებენ რა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტს, აქეზებენ იმპერიალისტ აგრესორებს ახალი ავანტიურებისათვის, ხელს უწყობენ მათ რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ პირობებში, როგორც ეს ხაზგასმულია ერთობლივ განცხადებაში, მომწიფდა საჭიროება, რომ მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი. ამ თათბირის მოსამზადებლად კი მიზანშეწონილია უკვე მიმდინარე წლის დეკემბერში მოწვეულ იქნას სარედაქციო კომისია იმ პარტიათა წარმომადგენლების შემადგენლობით, რომლებიც შედიოდნენ წინა თათბირის სარედაქციო კომისიაში და თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ ამ თათბირის მომზადებაში.

ჩინეთის ხელმძღვანელები უარს ამბობენ თათბირის მოწვევაზე, როგორც ჩანს, ამჯობინებენ თავიანთი ფრაქციული პარტიული დისკუსიის ნაცვლად მიმართონ ლანძღვა-გინებას. ისინი შანტაჟს უწევენ მომძმე პარტიებს გათიშვის მუქარით. ამ პირობებში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, რომ შეიკრიბონ ყველა მოძმე პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც იცავენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობას და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, და კოლექტიურად განიხილონ მომწიფებული საკითხები. ეს როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ისე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, მეტი წილი სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების საერთო აზრია.

ორივე ჩვენმა პარტიამ განაცხადა, რომ კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ ყველა სოციალისტური ქვეყნის შეკავშირებისათვის, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შექმნილი სერიოზული სიძნელეების აღმოფხვრისათვის, რომლებიც ჩინეთის ხელმძღვანელთა ანტილენინურმა გამთიშველმა კურსმა გამოიწვია, იბრძოლებენ იმისათვის, რომ დამყარდეს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველა რაზმის მონოლითური ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ძვირფასო ამხანაგებო!

მოკლედ, რამდენიმე სიტყვით რომ ჩამოვაყალიბოთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩვენი ვიზიტის შედეგი, იგი შემდეგია:

ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტმა კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მტკიცე იდეური და პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ვიზიტმა ხელი შეუწყო ორივე ქვეყნის ძმური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

ჩვენ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. ამ მეგობრობის შესახებ კარგად თქვა პრაღაში მიტინგზე ამხანაგმა ანტონინ ნოვოტნიმ.

— ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, — თქვა მან, — კვლავაც მტკიცე იქნება, როგორც გრანიტი, და ჩვენი სამშობლოს ახლანდელი და მომავალი თაობების შეგნებაში ეს მეგობრობა უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

ჩემი გამოსვლის დასასრულს, მინდა შევასრულო სასიამოვნო მოვალეობა: საბჭოთა ადამიანებს გადავცეს ჩეხოსლოვაკიის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა მხურვალე სალამი და უაღრესად გულითადი, უაღრესად მეგობრული სურვილები. ეს ყველგან გვთხოვეს ჩეხოსლოვაკიაში, ქარხნებში, ფაბრიკებში, კოოპერატივებში. ყველა, ვისაც კი შევხვდით, საბჭოთა ხალხისადმი სიყვარულსა და მეგობრობას გამოთქვამდა. ყველგან გვესმოდა შეძახილები: „საბჭოთა კავშირთან ვიქნებით მარად!“.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით ერთხელ კიდევ მადლობა ვუძღვნა ჩვენს ძმებს, ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს, ჩვენი ხალხისადმი მათი კეთილი სიტყვებისა და გრძნობებისათვის და ვუსურვო ახალი წარმატებანი ჩვენი საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

როგორც იცით, ჩეხოსლოვაკიაში მიღებულია შეხვედრის დროს ერთმანეთის მისალმება სიტყვებით: „ჩესტ პრაცე“ — პატივი შრომას! ეს კარგი მიმართვაა ახალი მსოფლიოს ადამიანისადმი, რომელიც საკუთარი ხელით ქმნის საუკეთესო მომავალს. და მსოფლიოს მშრომელი ადამიანები ააშენებენ ამ ნათელ მომავალს.

მივმართავთ რა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, ჩვენ ვეუბნებით: საბჭოთა კავშირის ხალხები მუდამ თქვენთან ერთად არიან.

ერთად ვივლით წინ სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

---

8 სექტემბერი ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეა

მუდამ ვემსახურებოდეთ ცხოვრების სიმართლეს

რვა სექტემბერი — ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე — მსოფლიოს დემოკრატიული ჟურნალისტიკის მტკიცე ტრადიცია ხდება.

ეს ტრადიცია იშვა კალმის პატრიოსან მოღვაწეთა კეთილშობილურ ბრძოლაში ისეთ შესანიშნავ ადამიანთა სიცოცხლისათვის, როგორიც არიან საბერძნეთის ეროვნული გმირი— მანოლის გლეზოსი, სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი — ბრაიონ ბანტინგი, ალჟირის პატრიოტი — ანრი ალეგი და ბევრი სხვა პროგრესული ჟურნალისტი.

მისწრაფება სოლიდარობისადმი, ურთიერთ დახმარებისადმი, ჰუმანურად ადამიანური მეგობრობისადმი ამ ტრადიციის სული და გული გახდა.

წმიდა გრძნობა იმ ჟურნალისტებისადმი მხარდაჭერისა, ვისი ხალხებიც კოლონიალიზმის უღელს იშორებენ, ხელმძღვანელობდა ამ ადამიანებს, ვინც შემოიღო რვა სექტემბრის დღე.

მშვიდობიანი თანაარსებობის მაღალი იდეა, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის იდეა, თავისუფლების, დემოკრატიისა და ხალხის ბედნიერების იდეა შეადგენს თვითეული პატიოსანი ჟურნალისტის მთავარ საყრდენებს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, რა პოლიტიკური და რელიგიური რწმენითაც უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს მისი ვალია, ეს ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის საფუძველია.

ჟურნალისტთა სოლიდარობის დიდი ფილოსოფია გულისხმობს უწინარეს ყოვლისა პრაქტიკულ, უაღრესად ცხოვრებისეულ საქმეებს. უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მუშაობენ სკოლები, რომლებიც ეხმარებიან აზიისა და აფრიკის, ლათინური ამერიკის დემოკრატიულ პრესას თავისი კადრების მომზადებაში. ბულგარეთში არსებობს საერთაშორისო დასასვენებელი სახლი. საბჭოთა, პოლონელმა, რუმინელმა ჟურნალისტებმა, ჩვენმა კოლეგებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ცოტა რამ კი არ გააკეთეს განვითარების გზაზე მდგომ ქვეყნების პრესის მუშაკებთან კონტაქტების განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საფრანგეთისა და იტალიის, ინგლისისა და ფინეთის, ინდოეთისა და ბირმის, იაპონიისა და ავსტრალიის, ლათინური ამერიკის, აფრიკის, არაბული აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის დემოკრატი ჟურნალისტები სულ უფრო ფართოდ და ღრმად ამყარებენ საქმიან ურთიერთობას, აღწევენ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების ურთიერთ გაგებას.

მინდა მოგაგონოთ, რომ, დაწყებული 1956 წლიდან, დემოკრატიულმა ჟურნალისტიკამ ისეთი კარგი ტრადიციაც დაამყარა, როგორიც არის საერთაშორისო შეხვედრები. თუ პირველ შეხვედრაზე (ჰელსინკი) შეიკრიბნენ 44 ქვეყნის წარმომადგენლები, მეორეზე (ბადენი) — 62 ქვეყნისა, თბომავალ „ლიტვაზე“ უკვე 70 ქვეყანა იყო წარმოდგენილი.

ბევრ რამეს ლაყბობდნენ და ლაყბობენ ამ შეხვედრების, განსაკუთრებით მესამე შეხვედრის შესახებ: აქ ბურჟუაზიული იდეოლოგიის თავგაწყვეტილ ტრუბადურებს შეუერთდნენ მათი თანამოაზრენი ჩინეთიდან.

ახლა მთელი მსოფლიო იცნობს სიმართლეს ყველა ჟურნალისტთა სოლიდარობისათვის დიდხანშვნელოვან ამ შეხვედრის შესახებ; სულ სხვადასხვა ქვეყნების, სულ სხვადასხვა პრესის წარმომადგენელი ერთსულოვანი იყვნენ იმის განსაზღვრაში, თუ რა არის მთავარი მათს ცხოვრებაში.

მიესალმებოდა რა ხუთი კონტინენტის ჟურნალისტთა მესამე ფორუმს, ნ. ს. ხრუშჩოვი წერდა: „პრესას, რადიოსა და ტელევიზიას პასუხსაგები როლი ეკუთვნის საზოგადოებაში. დაე პროგრესულ ჟურნალისტთა დროშა მუდამ იყოს ცხოვრების სიმართლე, მშვიდობისა და თანასწორუფლების, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა შორის მეგობრობის კეთილშობილური იდეალები, შრომის ადამიანის ინტერესები, ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებისადმი ერთგული სამსახური“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილს ჟურნალისტთა შეხვედრის მონაწილენი დიდი სიხარულით შეხვდნენ. თავიანთ პასუხში ნიკიტა სერგის-ძისადმი ისინი წერდნენ, რომ მთელი პატიოსანი პრესა მზად არის ემსახურებოდეს მშვიდობის საქმეს, იცავდეს ხალხთა ინტერესებს.

იყო დავა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, იყო ბევრი რამ, როცა თბომავალ „ლიტვაზე“ დისკუსიები წარმოებდა. უამისოდ შეუძლებელიც არის; სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა რწმენა აქვთ. ეს ყველასათვის ნათელია, ცხადი არ არის მხოლოდ ჩვენი ჩინელი კოლეგებისათვის.

ამჟერადაც მათ ბევრი ლაფი და ცილისწამება გადმოანთხიეს ჩვენი მისამართით, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მისამართით. მათს ცდებს — როგორმე ხელი შეეშალათ შეხვედრისათვის — არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ჩაიფუშა მათი ცდები სახელი გაეტეხათ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობისათვის.

მეტად ძნელია, შეუძლებელია წართვა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას მისი მონაპოვარნი. მთელი ეს მიღწევები კი მოპოვებულია თვით ყველა კონტინენტის ჟურნალისტების მიერ ვისთვისაც ესოდენ ძვირფასია კაცობრიობის მომავალი.

თავის დასკვნითს კომუნიკეში მესამე შეხვედრამ განაცხადა, რომ მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის საქმის ერთგული ჟურნალისტები ეწეოდნენ კამპანიას იმ საინფორმაციო საავტორების, რადიოს, ტელევიზიისა და პრესის ორგანოებისა და კინოს წინააღმდეგ, რომლებიც მონოპოლიების სამსახურში იმყოფებიან და „ცივი ომისა“ და რასობრივი სიძულვილის სულისკვეთებას აღვივებენ.

III შეხვედრის მონაწილეებმა მთელ მსოფლიოში თავიანთ კოლეგებს მოუწოდეს შეუერთდნენ მათ. ადასტურებდნენ რა თავიანთ მისწრაფებას თანამშრომლებისადმი, მოუწოდეს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები წარსულის შავბნელი ძალების წინააღმდეგ და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც საფრთხეს უქმნის მათს კავშირს, რომელიც აუცილებლად საჭიროა მშვიდობის დაცვისათვის მოკმედების წარმატებით მისაღწევად.

მე შემთხვევით როდი ვლაპარაკობ ასე ბევრს უკანასკნელი შეხვედრის შესახებ. იგი ყველაზე წარმომადგენლობითია. მისი დოკუმენტები მსოფლიოს დემოკრატიული პრესის აზრს გამოხატავენ.

70 ქვეყნის ჟურნალისტები ერთად შეიკრიბნენ იმ დღეებში, როცა კაცობრიობას დაებადა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების იმედი, იმის იმედი, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაიჭრება. მოსკოვის ხელშეკრულება სამ სფეროში ატომური ორგანიზაციის საქმიანობისათვის.

ეს ძალიან ბევრი იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ პირველი ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით.

ახლა იმპერიალისტური წრეები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში: სამხრეთ ვიეტნამში, კვიპროსზე, კარიბის ზღვის რაიონში, კონგოში აგრესიულ მოქმედებებს აჩაღებენ, იმუქრებიან შეიარაღებული ინტერვენციით ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფალი ცხოვრებისადმი. იმპერიალისტთა ეს მოქმედება სერიოზულ შიშს იწვევს მსოფლიოში.

ბრძოლა დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის დემოკრატიული ჟურნალისტიკის მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანას მიეძღვნება ბევრი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი კრებები 8 სექტემბერს.

არ შეიძლება ათასობით და ათასობით სხვადასხვა ადამიანი შეაკავშირო უმნიშვნელო, წვრილმანი საქმეების გადასაწყვეტად. მხოლოდ მაღალი იდეების სახელით, რომლებიც მილიონობით და მილიონობით ადამიანთა მისწრაფებებს შეესაბამება, შეიძლება სერიოზულად ილაპარაკო ამ იდეებისათვის მებრძოლთა რიგების შეკავშირებაზე, მათს ერთიანობაზე.

კარგად იყო ნათქვამი საბჭოთა ჟურნალისტების მიმართვაში საერთაშორისო ფორუმისადმი.

„ჩვენ, ჟურნალისტებს, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ჩვენ ინფორმაციას ვაწვდით კაცობრიობას ყველაფერზე, რაც პლანეტაზე ხდება. ჩვენ კოსმონავტთა და მეცნიერთა, მუშათა და ინჟინერთა, დიპლომატთა, მხვნელ-მთესველთა და არქიტექტორთა თანამგზავრები ვართ. ჩვენ პირველი მოწმენი ვართ ყოველივე იმისა, რაც დედამიწაზე ხდება, — კარგისაც და ავისაც, მოწინავისაც და რეაქციულისაც.

ვინა შეგვიძლია ჩვენ, საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლებსა და მაორგანიზებლებს, მოვლენათა მხოლოდ მეთვალყურეები და რეგისტრატორები ვიყოთ, გულგრილად ვუყურებდეთ კეთილსაც და ბოროტსაც? არა, ჩვენი პროფესიული ვალია ხმა აღვიმაღლოთ მშვიდობის, პროგრესის, ხალხთა შორის მეგობრობის დასაცავად, ადამიანის დასაცავად. ჩვენი მოწოდებაა ხელს ვუწყობდეთ ამ კეთილშობილური იდეების გამარჯვებას“.

საბჭოთა ჟურნალისტები ამაყობენ თავიანთი შრომით, მთელი ხალხის დიდ ნდობად მიიჩნიათ თავიანთი მუშაობა.

ჟურნალისტი ადამიანის მაღალი წოდებაა! ყოველნაირად უნდა ვიცავდეთ ამ პროფესიის კეთილშობილებას მთელ ჩვენს დედამიწაზე. მუდამ უნდა განვამტკიცებდეთ საერთაშორისო ერთიანობას.

ბორის ბურკოვი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მდივანი.

კეთილმოწყობილი გავხადოთ სასოფლო გზები

ჩულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოებში გამართულმა მშრომელთა აქტივის კრებებმა მიიღეს მიმართვები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, რომლებშიც ნათქვამია:

ჩულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოების მშრომელთა პატრიოტული ინიციატივა

◆

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები თავდადებული, შემოქმედებითი შრომით დღითიდღე ახალ გამარჯვებებს აღწევენ, ახალ ზღვიდებს იღებენ იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც მათ წინაშე დასახა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ.

ჩვენს დიად სამშობლოში ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება, რის ნამდვილი დადასტურებაცაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატებისა და კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონების მიღება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად ჩულუკიძისა და გარდაბნის საწარმოო სამმართველოები გადაიქცნენ რესპუბლიკის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ცენტრებად. კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრები, მათ ამშვენებენ ფართო მოასფალტებული ქუჩები და მოედნები, ფუნდამენტალური საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული შენობები.

მაგრამ, ნათქვამია აქტივის კრებების მონაწილეთა მიმართვებში, გვინდა, რომ საწარმოო სამმართველოები გავხადოთ კიდევ უფრო კეთილმოწყობილი, მისი გზები და ხიდ-ბოგირები დავაკეთოთ სანიმუშოდ, რისთვისაც აქ უკვე სრულდება დიდი სამუშაოები.

მაგალითად, ჩულუკიძის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა შარშან ადგილობრივი გზების მშენებლობის, მათი რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაიმსახურეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. საწარმოო სამმართველომ სასოფლო გზების მშენებლობის, მათი შეკეთებისა და შავი საფარის დაგების საქმეში დიდი გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლიანი გეგმა. მარტო წელს ადგილობრივ გზებზე შავი საფარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილომეტრისა დაიგება 15 კილომეტრზე. აიგება ახალი რკინაბეტონის 90 მეტრი საერთო სიგრძის ადგილობრივი ხიდები.

თავიანთ ვალდებულებაში ჩულუკიძის საწარმოო სამმართველოს მშრომელები კისრულობენ სასოფლო გზების კეთილმოწყობის ერთთვიურის დროს კაპიტალურად შეაკეთონ და მოხრეშულ სოფლებში — ოფეთში, გამოჩინებულში, გორმაღალში, წიალისუბანში, ხიდში, დედალაურსა და ძეძილეთში მისასვლელი გზები. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და მისი დაბინავების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მისასვლელი გზების შეკეთებას. კაპიტალურად შეკეთდება და მოიხრეშება გომი — ახალი სინათლე — ბორანის გზა. დაიგება ასფალტის საფარი მათხოჯი — ხიდის გზაზე. დამთავრდება მდინარე ხევისწყალზე 26 მეტრი სიგრძის და მდინარე კუხაზე 15 მეტრი სიგრძის ხიდების მშენებლობა.

ჩულუკიძის რაიონის სოფელ ილორისა და გეგეჭკორის რაიონის სოფელ მარანის მოსახლეობისა და მოსწავლეებისათვის დამთავრდება მდინარე ცხენისწყალზე დაკიდული საცალფეხო ხიდის მშენებლობა.

მნიშვნელოვანი წარმატებანი სასოფლო გზების მშენებლობისა და შეკეთების საქმეში მოიპოვეს აგრეთვე გარდ

ელიზაბეტ ჰერლი ფლინი

სიცოცხლე, რომელიც მოხმარდა მშრომელთა საქმისათვის ბრძოლას

1964 წლის 5 სექტემბერს დილის 5 საათსა და 45 წუთზე შეწყდა ამერიკელი ხალხის გამოჩენილი შვილის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ელიზაბეტ ჰერლი ფლინის გულისცემა. ელიზაბეტ ფლინის გარდაცვალება მძიმე დანაკლისი და დიდი უბედურებაა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტებისა და პროგრესული ძალებისათვის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხანაგმა ელიზაბეტ ფლინმა მოახმარა კეთილშობილურ ბრძოლას ამერიკელი ხალხის ნათელი მომავლისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის.

ახალგაზრდობიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამხანაგმა ფლინმა თავისი მჩქეფარე ენერგია მოახმარა ამერიკის მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების მოპოვებას. იგი იბრძოდა ამერიკის რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების იუჯინ დებსის, დილ ჰაივუდის, უილიამ ზ. ფოსტერის, იუჯინ დენისისა და ბენჯამინ დევისის მხარდამხარ.

ამხანაგმა ელიზაბეტ ფლინმა განვლო სახელოვანი და ძნელი გზა მებრძოლი აგიტატორიდან ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთული კომიტეტის თავმჯდომარემდე. როგორც პოლიტიკური მოღვაწე იგი იზრდებოდა და იწრთობოდა ამერიკის პროლეტარიატის მძაფრ კლასობრივ ბრძოლებში მონოპოლიების წინააღმდეგ, ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა მოქალაქეობრივი უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

ამხანაგი ელიზაბეტ ფლინი დაიბადა 1890 წლის 7 აგვისტოს ნიუ-ჰემპშირის შტატის ქ. კონკორდში ირლანდიური წარმოშობის მუშის ოჯახში. ელიზაბეტ ფლინის დედ-მამა სოციალისტური პარტიის წევრები იყვნენ. ისინი უამბობდნენ თავიანთ ქალიშვილს მათი სამშობლოს — ირლანდიის ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის, ამერიკელი მუშების დუხჭირ ცხოვრებასა და ბრძოლაზე. მშობლებისგან ზეგავლენით ელიზაბეტი ადრე ჩაება მუშათა მოძრაობაში, თექვსმეტი წლის ქალიშვილი იყო, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტურ პარტიაში შევიდა.

თავიდანვე ამხანაგმა ფლინმა თავი გამოიჩინა, როგორც მეზნებარე და მებრძოლმა ორატორმა, რომლის მოსასმენად იკრიბებოდა ბევრი ამერიკელი მუშა. 1906 წლის აგვისტოში იგი დაუპატიმრეს და საპყრობილეში ჩააგდეს ქუჩაში გამართულ მიტინგებში მონაწილეობისათვის. საპყრობილეში ყოფნამ ვერ გატეხა 16 წლის ფლინი, პირიქით, ამერიკელი მუშების საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის სისწორის კიდევ უფრო დიდი რწმენა ჩაუნერგა. საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ იგი შედის ამერიკელი მშრომელების მებრძოლ ორგანიზაციაში „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები“ და ხდება პროფესიული რევოლუციონერი და მამაცი მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესებისათვის. მისი სახელი უკვე ცნობილია არა მარტო ნიუ-იორკში, არამედ ამერიკის ბევრ ქალაქში. 1906 წელს მწერალმა თეოდორ დრაიზერმა ე. ფლინისადმი მიძღვნილ სტატიაში უწოდა მას ისტ-საიდის ჟანნ დ'არკი. იმ ხანებში ამერიკელი მუშები სიყვარულით უწოდებდნენ ელიზაბეტ ფლინს „მუშათა კლასის პირველ ლუდის“, „მეამბოხე ქალიშვილს“. 1915 წელს მუშა პოეტმა ჯო ჰილმა, რომელიც პოლიციელებმა სასჯელაღილებულ საპყრობილეში აწამეს, სიკვდილის დასჯის წინ ელიზაბეტ ფლინს უძღვნა ლექსი „მეამბოხე ქალიშვილი“, რომელშიც უმღერდა მის მამაცობასა და გაბედულებას მუშათა საქმისათვის ბრძოლაში.

თითქმის 60 წლის მანძილზე ამხანაგი ფლინი აქტიურად მონაწილეობდა ამერიკის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. იგი მოგზაურობდა მთელ ქვეყანაში ალმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპიროდან, გამოდიოდა მუშების წინაშე, მეთაურობდა საგაფიცოო მოძრაობას. 1912 წელს იგი უშუალოდ მონაწილეობდა ლოურენსის ფაბრიკათა ცნობილ გაფიცვაში, 1913 წელს — პეტერსონის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების მუშათა გაფიცვაში, 1916 წელს — ქ. ევერეტის მუშათა ბრძოლაში დემოკრატიული თავისუფლებისათვის და მინესოტის შტატის მაღაროელთა გაფიცვაში, 1926 წელს — პასაიკის ფეიქართა გაფიცვაში. საგაფიცო მოძრაობაში ამხანაგმა ფლინმა თავი გამოიჩინა როგორც მუშათა ერთგულმა მეგობარმა, პროლეტარიატის საქმისათვის მამაცმა მებრძოლმა.

ამხანაგი ფლინი მამაცურად იბრძოდა ამერიკის იმპერიალიზმის მსხვერპლთა დასაცავად. 1918-1925 წლებში იგი იყო მუშათა დაცვის კავშირის თავმჯდომარე, 1927-1930 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. ფლინის სახელთან არის დაკავშირებული ამერიკელი პოლიტიკური პატიმრების კამპანიები ბოსტონელ ანარქისტთა სასარგებლოდ, ტომ მუნის, საკოსა და ვანცეტის და სხვათა დასაცავად. იგი მეთაურობდა კომპარტიისა და მისი ლიდერების ჰეს ჰოლისა და ჰაბას წინათ გარდაცვლილი ბენჯამინ დევისის დაცვის კომიტეტს.

რეკქციონერებს ძულდათ მებრძოლი მასების ქამაცი მეთაური. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფალნი მუდამ დევნიდნენ მამაც ამერიკელ ქალს. დაახლოებით ათჯერ იყო ფლინი დაპატიმრებული. უკანასკნელად ამხანაგი ფლინი დააპატიმრეს 1955 წელს, როცა 65 წლისა იყო და თითქმის სამ წელიწადს ჰყავდათ საკატორღე საპყრობილეში. საპყრობილეში ყოფნამ სერიოზული ზიანი მიაყენა ამხანაგ ფლინის ჯანმრთელობას, მაგრამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა მართალი საქმისათვის ბრძოლაში.

ელიზაბეტ ფლინი ყოველთვის ამერიკის პროლეტარიატის ერთგული და თავდადებული შვილი იყო. 1919 წლიდან ამხანაგი ფლინის მთელი საქმიანობა მტკიცედ არის დაკავშირებული ამერიკის კომუნისტებთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელოვან კომუნისტურ პარტიასთან. ე. ფლინი დიდი ცხოვრებისეული და პოლიტიკური გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია სათავეში ჩაიყოგეს ყოველდღიურ და მტკიცე ბრძოლას მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნებისათვის, მშრომელი მასების ნამდვილი განთავისუფლებისათვის.

ამერიკელი კომუნისტები უდიდეს ნდობას უცხადებდნენ ამხანაგ ფლინს. 1938 წელს იგი აირჩიეს კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრად, ხოლო 1939 წელს — კომპარტიის ეროვნული კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1959 წელს ელიზაბეტ ფლინი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1961 წელს — ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თავმჯდომარედ.

ამხანაგ ფლინს ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ კომუნისტები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით აღიარ შეიარაღებული, არიან პროლეტარიატის საქმისათვის გაბედული და თანმიმდევრული მებრძოლები. იგი ამაყობდა, რომ კომუნისტი, მარქსისტული იდეების ერთგული იყო. „რაც არ უნდა მოხდეს, — ამბობდა იგი, — მე არასოდეს არ ვუღალატებ ამ იდეებს“.

ამხანაგმა ელიზაბეტ ფლინმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებაში შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპთა საფუძველზე. იგი აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირში და კომუნისტების ამ საერთაშორისო ფორუმის პროგრამული დოკუმენტების მომზადებაში, ესწრებოდა სკკპ XXII ყრილობას და გამოვიდა მის ძაღლ ტრიბუნაზე. ელიზაბეტ ფლინი უდიდეს ზრუნვას იჩენდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპთა ერთგულების დაცვისათვის.

ამხანაგი ფლინი იყო მგზნებარე და მებრძოლი აგიტატორი, მარქსისტული იდეების პროპაგანდისტი ამერიკელ მუშებში, ნიჭიერი პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე წიგნი, მათ შორის ორი ავტობიოგრაფიული: „ჩემი სიტყვებით“, „ოლდერსონის საპყრობილეში“, აგრეთვე ასობით სტატია, რომლებიც დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში. ამხანაგ ფლინს ჰქონდა ამერიკის მუშათა კლასისა და მისი მოწინავე რაზმის — ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ღრმა რწმენა. იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ახლა კომპარტიის რიგებს ეძატება ახალგაზრდობა, რომ კომპარტიაში მოდიან მუშები, ზანგები, სტუდენტები, მშვიდობისათვის მებრძოლნი. მას ახარებდა, რომ პარტია გამოირჩევა მონოლითურობით, და აქტივობით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიას სათავეში უდგას მამაცი და უნარიანი ხელმძღვანელი ამხანაგი ჰეს ჰოლი.

ელიზაბეტ ფლინი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის დიდი მებრძოლი იყო. იგი ძალღონეს არ იშურებდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის მთელ მსოფლიოში.

ამერიკელი ხალხის ერთგული შვილის ელიზაბეტ ჰერლი ფლინის ხსოვნა, მისი შესანიშნავი და კეთილშობილური სიცოცხლის მაგალითი არასოდეს არ წაიშლება ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის გულში.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ელიზაბეტ. საქმეს, რომელსაც შენ მთელი სიცოცხლე მოახმარე, განაგრძობს მარქსისტ-ლენინელების დიადი არმიის ახალი თაობა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ელიზაბეტ ჰერლი ფლინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ღრმა მწუხარებით, ნათქვამია განცხადებაში, შევიტყეთ რომ გარდაიცვალა 74 წლის ელიზაბეტ ჰერლი ფლინი — ჩვენი პარტიის საყვარელი ხელმძღვანელი. ირლანდიის მუშათა კლასის შვილი, იგი ახალგაზრდობიდანვე მეზნებარედ იბრძოდა ამერიკის მშრომელთა ინტერესებისათვის. მილიონობით ადამიანი მას იცნობდა როგორც „მეამბოხე ქალიშვილს“. როგორც მუშათა კლასის ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე, იგი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში და მრავალი წლის მანძილზე მისი ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო.

თავის ხანგრძლივი და აქტიური პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, ჩვენი საუკუნის დამდეგიდან გახდა იგი მუშების ბელადი და მონაწილეობდა ამერიკის მუშათა მოძრაობის ბევრ დიად ბრძოლაში. დიდი ხნის მანძილზე მისი სახელი დაკავშირებული იყო მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლასთან, იგი თვალსაჩინო როლს ასრულებდა აგრეთვე მუნი-ბილინგსის და საკო-ვანცეტის პროცესებზე. რამდენიმე წლის წინათ სმიტის კანონის მსხვერპლი გახდა — იგი საპყრობილეში ჩააგდეს, მაგრამ სიკვდილამდე აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ კომუნისტური პარტია დაეცვა მაკარნის სამარცხვინო კანონისაგან, ხელმძღვანელობდა რა „ჰოლ-დევისის დაცვისათვის ბრძოლის კომიტეტს“. იგი ფართოდ არის ცნობილი აგრეთვე როგორც მწერალი. მის კალამს ეკუთვნის ბევრი სტატია, ბროშურა და წიგნი.

ელიზაბეტ ჰერლი ფლინი, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, იყო გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელი და მტკიცე მებრძოლი თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. უწიხარეს ყოვლისა, იგი იყო ადამიანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და მისმა გულთბილობამ, მისმა ჰუმანიზმმა და ხალხისადმი სიყვარულმა ძვირფასი გახადეს იგი ყველასათვის, ვინც მას იცნობდა, როგორც კომუნისტებისათვის, ისე არა კომუნისტებისათვის. ამ დანაკლისს ღრმად იგრძნობენ არა მარტო კომუნისტური პარტიის რიგებში, მის სიკვდილს იგლოვებს ბევრი ამერიკელი, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელები, რომლებიც იცნობდნენ, ან იცოდნენ ვინ იყო იგი. ელიზაბეტ ფლინის სიკვდილს იგლოვებს აგრეთვე სხვა ქვეყნების მილიონობით ადამიანი, ვინც იცნობდა და ვისაც უყვარდა იგი.

მისი დაუღალავი შრომა კაცობრიობის მომავლისათვის და მისი დიადი წვლილი თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმეში არასოდეს მიეცემა დავიწყებას. თუმცა იგი წავიდა ჩვენგან, მისი ხსოვნა მარად შთამაგონებელი იქნება ყველასათვის, ვინც განაგრძობს ამ მეცადინეობას გამარჯვებამდე — სოციალისტური ამერიკის შექმნამდე, რაც მთელი მისი მეცადინეობის მიზანი იყო.

შეტაკება სინგაპურში

ლონდონი, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინგაპურიდან იუწყებიან იქ კვლავ წარმოებს შეტაკება მოსახლეობის მტრულად განწყობილ ჯგუფებს შორის. დაბოცილ ორ ათეულ ადამიანს, რომლებიც დაიხოცნენ ივლისში მალაიელებთან ჩინელების შეტაკების შედეგად, დემატა ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დახოცილი კიდევ რამდენიმე კაცი. შეტაკების მონაწილეთა წინააღმდეგ პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზები. კვლავ წარმოებს დაპატიმრება.

ხელისუფლებს, რომლებიც მოელიან შემდგომ შეტაკებებს, სინგაპურში გადაჰყავთ ჯარები.

იშვიათი ტაიფუნი

პარიზი, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჰონკონგიდან იუწყებიან, ინგლისის ამ კოლონიას დღეს თავს დაატყდა უდიდესი ძალის ტაიფუნი. ტაიფუნმა სახლებს სახურავები მოგლიჯა, გადააბრუნა ავტომობილები და წააქცია ფეხით მოსიარულენი, გრიგალისებურმა ქარმა ზღვაში შერგო საოკეანო გემებიც, რომლებიც რეიდზე იდგნენ, ჩაიძირა ასობით ჯონჯა და სამპანი. ქალაქში რამდენიმე საათით შეჩერდა ტრანსპორტის მიმოსვლა, მუშაობა შეწყვიტა საერთაშორისო აეროპორტმა.

წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა სამი და დაშავდა ოთხმოცდაათი კაცი.

ამერიკის ავიამზიდი ინდონეზიის ნაპირებთან

ჯაკარტა, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ინდონეზიის პრესა იუწყება, უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ჯაკარტაში გაიმართა მთავრობის სასწრაფო სხდომების სერია პრეზიდენტ სუკარნოსა და რესპუბლიკის სამხედეთო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლების მონაწილეობით. განხილული იყო საერთაშორისო მდგომარეობისა და ინდონეზიის საშინაო ვითარების საკითხები.

პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ სუბანდრიომ პრესის წარმომადგენლებს გააცნო პრეზიდენტის ახალი ბრძანება, რომელიც ავალდებულებს შეიარაღებულ ძალებს გაადიდონ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა იმასთან დაკავშირებით, რომ იავის ზღვაში გამოჩნდა უცხოეთის სამხედრო ხომლდები. ჟურნალისტთა შეკითხვებზე სუბანდრიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მეტად დაძაბულია“ და ამიტომ „პრეზიდენტმა გასცა ბრძანება აიკრძალოთ შვებულებები სახელმწიფო მოსამსახურეებსა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას“.

კომენტარს უკეთებს რა მთავრობის უკანასკნელ ღონისძიებებს, აქაური პრესა გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ღონისძიებანი გამოწვეულია საგანგებო წესებისა შემოღებით მეზობელ ძალაიზიაში და იმით, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უდიდებენ მას სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას.

ლონდონი, 5 სექტემბერი. (საკდესი). წარსულ კვირას ინდონეზიის ნაპირებს მიუახლოვდა ამერიკის ავიამზიდი „ენტერპრაიზი“ და დაიწყო „წვრთნა“, ჰაერში გაუშვა ორმოცდაათამდე თვითმფრინავი. ძალის ეს დემონსტრაცია მოიწყო იმ მომენტში, როცა ავიამზიდი სულ 150 მილით იყო დაშორებული ინდონეზიის დედაქალაქს. ამას იუწყება. რეიტერის საგაზეთო, რომელიც ინფორმაციას ავსტრალიის პრესას, სადაც ჩავიდა გუშინ „ენტერპრაიზი“.

ნეერუს ხსოვნისათვის

დელი, 5 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის დედაქალაქის ტინ მურტის ქუჩაზე მდებარე სახლი, სადაც მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ჯავაჰარლალ ნერუ, ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად გადაიქცევა სახელმწიფო მუზეუმად. შენობის ნაწილი გადაეცემა ბიბლიოთეკას, რომელშიც იქნება ნერუს ნაშრომები და მისი კუთვნილი წიგნები.

ამავე სახლში შეუძლიათ იმუშაონ ინდოელმა და უცხოელმა მეცნიერებმა, რომლებიც იკვლევენ ნერუს მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ამგოხეგულეგმა დაიკავეს გოენდე

პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი). კონგოელ ამბოხებულთა ნაწილებმა, რომლებსაც გასტონ სუმიალო ხელმძღვანელობს, დიაკავეს ქალაქი ბოუხდე, იუწყება ლეოპოლდვილიდან ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ავტორიტეტული წრეების განცხადებებს. ბოუხდეში დისლოკირებულმა ჩობეს ჯარებმა ამბოხებულთა ძალების მიახლოვების შემდეგ სასწრაფოდ დატოვეს ქალაქი. ამბოხებულნი ქალაქში უბრძოლველად შევიდნენ. ბოუხდე მდებარეობს 300 კილომეტრზე კიკიაველის აღმოსავლეთით და უკანასკნელი დიდი დასახლებული პუნქტია ეკვატორული პროვინციის დედაქალაქისაკენ ამბოხებულთა მოძრაობის გზაზე.

აფრიკა თავისუფალი უნდა იყოს!

ლონდონი, 5 სექტემბერი. (საკდესი). აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები არ დამშვიდდებიან მანამდე, სანამ მთელი აფრიკა არ განთავისუფლდება უცხოელთა ბატონობისაგან, განაცხადა კენიის იუსტიციისა და საკონსტიტუციო საქმეთა მინისტრმა ტომ მბოიამ, როცა იგი ჭალაქ პერტის (დასავლეთ ავსტრალიის შტატი) უნივერსიტეტში გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფრიკის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იქნება ნამდვილად თავისუფალი ან დამოუკიდებელი, სანამ თავისუფალი არ იქნებიან ისეთი ტერიტორიები აფრიკელები, როგორიც არიან პორტუგალიის კოლონიები აფრიკაში. ამის შესახებ იუწყება რეიტერის საგაზეთო.

ურუგვაის მოსახლეობა

უკანასკნელი აღწერის მონაცემების თანახმად, ურუგვაის მოსახლეობა შეადგენს 2.593 ათას კაცს.

უბედური შემთხვევები

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უბედური შემთხვევებისა და ავარიების შედეგად ვერძნეის ფედერაციული რესპუბლიკის გზებზე დაიღუპა შვიდი ათასზე მეტი კაცი. დაშავებულთა რიცხვი შეადგენს დაახლოებით 200 ათას კაცს. (საკდესი).

ამერიკელ მუშებს

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ელიზაბეტ ჰერლი ფლინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ღრმა მწუხარებით, ნათქვამია განცხადებაში, შევიტყეთ რომ გარდაიცვალა 74 წლის ელიზაბეტ ჰერლი ფლინი — ჩვენი პარტიის საყვარელი ხელმძღვანელი. ირლანდიის მუშათა კლასის შვილი, იგი ახალგაზრდობიდანვე მეზნებარედ იბრძოდა ამერიკის მშრომელთა ინტერესებისათვის. მილიონობით ადამიანი მას იცნობდა როგორც „მეამბოხე ქალიშვილს“. როგორც მუშათა კლასის ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე, იგი შევიდა კომუნისტურ პარტიის რიგებში და მრავალი წლის მანძილზე მისი ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო.

თავის ხანგრძლივი და აქტიური პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, ჩვენი საუკუნის დამდეგიდან გახდა იგი მუშების ბელადი და მონაწილეობდა ამერიკის მუშათა მოძრაობის ბევრ დიად ბრძოლაში. დიდი ხნის მანძილზე მისი სახელი დაკავშირებული იყო მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლასთან, იგი თვალსაჩინო როლს ასრულებდა აგრეთვე მუნი-ბილინგსის და საკო-ვანცეტის პროცესებზე. რამდენიმე წლის წინათ სმიტის კანონის მსხვერპლი გახდა — იგი საპყრობილეში ჩააგდეს, მაგრამ სიკვდილამდე აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ კომუნისტური პარტია დაეცვა მაკარნის სამარცხვინო კანონისაგან, ხელმძღვანელობდა რა „ჰოლ-დევისის



ამერიკელ ბავშვებს

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიის ეროვნული კომიტეტის ორგანოს „ბანერ“-ის ბოლო ნომერში, ამ ორგანოს ერთ-ერთ ფურცელზე, ბეჭდავენ ელიზაბეტ ფლინის ბოლო ინტერვიუ, ინტერვიუ, ანუ ბოლო ლექციის ტექსტი, ანუ ბოლო ლექციის ტექსტი, ანუ ბოლო ინტერვიუ, ანუ ბოლო ინტერვიუ, ანუ ბოლო ინტერვიუ

სკოლის ტრადიციული დღესასწაული

ყოველ ახალ სასწავლო წელს, როგორც საბჭოთა სოფლის ახალგაზრდობა, ისე ხედებიან რესპუბლიკის დედაქალაქის მოსწავლენი. გასულ კვირას თბილისში გაიმართა სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო ღონისძიება. დღესასწაულში, რომელსაც ერქვა „გამარჯობა, სკოლავ!“ მონაწილეობა მიიღეს როგორც მოსწავლეებმა, ისე სტუდენტებმა და მასწავლებლებმა.

ოქტომბრელთა წკრიალა, მხიარული სიმღერები გაისმოდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვეებერთელა სარკეებიან დარბაზში დიდი დღესასწაულის დღეს, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა.

ამ დღეს მოსწავლეებთან სტუმრად მივიდნენ ბავშვთა საყვარელი პოეტები ხუტა ბერულავა, იოსებ ნონეშვილი, მხატვარი ნელი ოქროპირიძე, აგრეთვე საქართველოში სტუმრად მყოფი შვეიცარიის ახალგაზრდული დელეგაციის წევრები — მოსკოვის ახალგაზრდობის მომავალი ფორუმის მონაწილენი.

ოქტომბრელებმა თავიანთი დღესასწაული დაამთავრეს ყველასთვის საყვარელი სიმღერით „დაე მუდამ იყოს მზე“.

გაისმის პიონერული მარშის ხმები

გასულ კვირა საღამოს პიონერები გამოვიდნენ საზეიმოდ მორთულ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში. ორი ათასამდე პიონერმა მწყობრად ჩაიარა რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე. ცოცხალი ყვავილების ასობით თაიგულით შეამკეს პიონერებმა ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. ქალაქის შვიდივე რაიონის საუკეთესო პიონერმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ჯამბინირებულ ესტაფეტში, ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასს.

პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში შეჯამდა ესტაფეტის შედეგები. თბილისის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თასი და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს ქალაქის ლენინის რაიონის პიონერებმა. საღამოს პარკში აგიზგიზდა პიონერული კოცონი.

გორკის სახელობის პარკი. აქ მასპინძლებად გრძნობენ თავს ქალაქის ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ალავიძემ დღესასწაული მიიღოცა შეკრებილთ. იმის შესახებ, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს პარტიისა და ხალხის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, ილაპარაკა საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ.

ათასობით უფროსკლასელმა მოიყარა თავი სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. მხიარულად გაატარეს მათ თავიანთი დღესასწაული. მათს განკარგულებაში იყო სხვადასხვა ატრაქციონი. ჭაღაკის მოყვარულნი ერთ-დროული თამაშის სეანსში 40 დაფაზე შეხვდნენ სპორტის ოსტატ ა. ბლაგიძეს.

პარკის ბიბლიოთეკაში გახანგრძლივებული დღის მე-2 სკოლის მოსწავლეები შეხვდნენ მწერლებსა და პოეტებს ი. ხონეშვილს, თ. ჯანგულაშვილს, ვ. გორგანელს, მ. მრეველიძეს, ვ. სულაბერიძეს, მსახიობ დ. ჭიკნავაძეს. აქ მოვიდნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები, რათა უფროს კლასელებისათვის მიეღოცათ სასწავლო წლის დაწყება.

საბაფხულო თეატრის მენობაში გაიმართა დღესასწაულის საზეიმო ნაწილი. მოსწავლეებს მიესალმნენ და მათ წარმატებები უსურვეს ახალ სასწავლო წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ თ. ეგაძემ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა თ. მოსაშვილმა და სხვებმა.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონს სამართლიანად უწოდებენ სტუდენტთა რაიონს. აქ თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებლები — უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური, სამედიცინო და უცხო ენათა, ზოოტექნიკურ - ვეტერინარული და ფიზკულტურის ინსტიტუტები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ორჯონიკიძის სახელობის რაიონი სტუდენტთა დღესასწაულის ცენტრი გახდა. „ქარიშხალას“ სტადიონი და ვაკის პარკი სტუდენტთა განკარგულებაში გადაეცა. აქ იყო მასობრივი სპორტული ასპარეზობანი.

შემდეგ სტუდენტთა ზეიმის ცენტრმა ვაკის პარკის საზაფხულო თეატრში გადაინაცვლა. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. ხაბეიშვილმა სიტყვა მისცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორს ი. სარიშვილს. მან მიულოცა სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება და უსურვა წარმატებანი სწავლასა და შრომაში. სიტყვები წარმოთქვეს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტმა ლიანა ნაკაიძემ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ზურაბ შერეზადაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა აკაკი ხორავამ.

6 სექტემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა მასწავლებელთა დიდი ზეიმი, რომელიც მიეძღვნა სასწავლო წლის დაწყებას.

წლევანდელი წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებელთათვის — კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მიაცეს მათ კეთილშობილურ შრომას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო კანონი მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ.

ამ საღამოს მიესალმა მოვიდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სკოლების მოსწავლეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამო შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საზეიმო ვითარებაში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის დიპლომები გადასცა თბილისის სკოლებისა და სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა დიდ ჯგუფს.

ამის. გ. ძოწენიძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და ყველა მასწავლებელს, უსურვა დიდი წარმატებები მათს კეთილშობილურ შრომაში.

(საქდესი).

სურათზე: ახალგაზრდობის ზეიმის მონაწილე პიონერების ჯგუფი.

ფოტო ს. კილაძისა.

წარსულიდან

ვინაც ახსოვს ამ მეოთხედი საუკუნის წინანდელი იპოდრომი დიდუბეში ტოტალიზატორით ან სპორტული ბაზა დელისში, დღევანდლობით უთუოდ აღფრთოვანებული დარჩება.

ახალი იპოდრომის სახით თბილისს ჩინებული ნაგებობა აქვს. იგი მშრომელთა კულტურული დასვენების კერა გახდა. ბევრი რამ გაკეთდა აქ უკანასკნელ ორ კვირაში — მსაჯთა შესანიშნავი კოშკური, ელექტროტაბლო, გადახურული ტრიბუნები, გაფორმებული მიდამოები და სხვ.

ათეულ ათასობით თბილისელი ეწვია იპოდრომს გასულ კვირადღეს. ნაირფერი ალმები, პლაკატები, ლოზუნგები ამშვენებდნენ იქაურობას. მთის ფერდობებზეც შეფენილი იყვნენ ცხენოსნობის მოყვარულნი, ირგვლივ საზეიმო განწყობილება სუფევდა.

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენებლის ცხენოსანთა საკავშირო პაპარეზობას საფუძველი შვიდი წლის წინათ ჩაეყარა, მაგრამ რიგითობამ ჩვენამდე მიმდინარე სეზონში მოაღწია. ეს მარილაც რომ გრანდიოზული შეჯიბრებაა, რომელიც ცხენოსნობის თითქმის ყველა სახეობას მოიცავს. მხედრობაში თავიანთ ოსტატობას გვიჩვენებენ საკოლმეურნეო სოფლის სახელოვანი ადამიანები.

ალმის აღმართვა, აღლუმი

ფანფარების ხმა იპოდრომს მოეფინა. ცხენოსნები ცენტრალური ტრიბუნის მისადგომებთან გამწკრივდნენ, იწყება საზეიმო ცერემონიალი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები გ. დ. ჯაფარიძეები, ბ. ს. ძოწენიძე, მ. ი. კუპაკა, ჯ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუშვაძე, რესპუბლიკის მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სტუმრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიეალმება შეჯიბრების მონაწილეებს და უსურვებს მათ მაღალ სპორტულ შედეგებს. წაიკითხეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ი. ვოლკოვჩენკოსა და საბჭოთა კავშირის მარშლის ს. მ. ბუდიონის მისალმებები.

ალმი აღმართეს გამოჩენილმა სპორტსმენებმა ალი ტაგიევმა (აზერბაიჯანი), მიხეილ კანუკოვმა (რუსეთი), შან ბრუხოვეცმა (ყირგიზეთი) და საქართველოს უხუცესმა ცხენოსანმა კიწი გეგეჭკორმა.

ძლევამოსილად ეფერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

ცხენოსანთა კოლონა დაიძრა. მათ მიუძღვის რუსეთ ძლიერი კოლექტივი. შემდეგ მიჰყვებიან უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის გუნდები, რომელთა რიგებში არიან ჩემპიონები, საერთაშორისო შეხვედრებში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, ცხენოსანი ქალები. გუნდებს მიჰყვება რუსული „ტროიკები“, ორთვალები, ფაეტონები.

ტრიბუნების ერთსულოვანი ტაში მიაცილებს მხედრებს, მოედნის სიღრმეში ესტრადაზე ეწყობა საქართველოს ცხენოსანთა თეატრალიზებული გამოსვლა, კონცერტი.

საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. იწყება ასპარეზობა, მეტოქეებმა სტარტი აიღეს.

მიჰქრიან „ტროიკები“, პირველი დღე

პროგრამა მრავალფეროვანია. საითაც გაიხედავთ პაექრობა არ ცხრება, შეჯიბრებას შეჯიბრება მოსდევს. თვალს იტაცებს მხედართა ოსტატობა, ნამდვილი ვირტუოზობა, მიჰქრიან რუსული „ტროიკები“, ყელმოღერებულ ცხენებს ოსტატურად მართავს მეეტლე, პაექრობაში ჩაბნეულ დაბრკოლებათა ზოლის გადალახვენი.

ზარის ხმა გვამცნობს დოღის დაწყებას. დისტანცია 2.000 მეტრია. გათამაშდა მშვიდობის პრიზი. აქ ძირითადი პაექრობა უკრაინისა და რსფსრ წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა. გამარჯვება უკრაინელ ჯ. ზაბლოცკის ხვდა. ცხენი „სუდბა“. დისტანცია მან განვლო 2 წუთსა და 8,5 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. კოსტენკო (რსფსრ). ცხენი „აპოგეი“.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა შეჯიბრებამ რუსულ „სამეულში“ („ტროიკა“) 2.400 მეტრზე მოსკოვის პრიზზე. ეკიპაჟი მეეტლეობდა სამი კაციანგან შედგებოდა. სტარტზე გამოვიდა უკრაინისა და რსფსრ ორ-ორი გუნდი. აქაც უკრაინელებს ბადალი არ ჰყავდათ. გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. ეფიმოვი, პირველი ადგილი დაიკავა. დრო — 3 წუთი და 8,5 წამი.

„ყიზ-ჟუჟ“ არის ერთ-ერთი თამაში ცხენოსნობაში. მისი შინაარსი ასეთია: სასპორტოზედ გამოდიან წყვილები — ცხენოსანი ქალი და ვაჟი. ჯერ ვაჟი დაედევნება ქალს, შემდეგ ქალი ვაჟს. ასეთი ზვიდი წყვილი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ყველაზე უკეთესად ეს თამაში აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ს. ლადოხინამ და შ. იაგუბოვმა შეასრულეს.

მ. გოლქვაძის ტრიუმფი

ცხენოსნობის კლასიკური სახეობიდან ერთ-ერთ ყველაზე რთულ ასპარეზობას დაბრკოლებათა გადალახვა წარმოადგენს. ორმოცი მონაწილე გამოვიდა სტარტზე. მსაჯები რიგრიგობით იძახებდნენ მეტოქეებს, მაგრამ დიდხანს ვერც ერთმა მათგანმა დისტანცია უჯარიმოდ ვერ გაიარა.

სტარტზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი თბილისის საცხენოსნო სკოლის სპორტსმენი მ. ბოლქვაძე (ცხენი „მარში“) გამოვიდა. იგი ზედიზედ იღებს ზღუდეებს. — თან მიაცილებს მაყურებელთა შეძახილები, ტაში. დისტანცია გავლილია. მ ბოლქვაძემ ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. მან პირველ ადგილთან ერთად ლატვიის სსრ პრიზი მოიპოვა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ჯ. გრიდინმა (ბელორუსია, 3 საჯარიმო ქულა) და ვ. კიჩაპოვმა (მოსკოვი, 4 საჯარიმო ქულა).

გუნდური ადგილები დაბრკოლებათა გადალახვაში ასე-განაწილდა: რსფსრ — 16 ქულა, საქართველო — 20 ქულა, ლიტვა — 24 ქულა.

„ოოდარიში“ — ასე უწოდებენ ცხენოსნურ თამაშს ანუ ჭიდაობას ცხენებზე. შეჯიბრება ათ წუთს გრძელდება. თვითეულ გუნდში სამი მხედარია. ისინი ერთმანეთს პირველობას ეცილებიან ჭიდაობაში, ცხენიდან გადმოგდებაში. სამი გუნდი გავიდა საასპარეზოდ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა წარმატებას ვერ მიაღწია, საბოლოოდ — ფრე.

ორთვლიანი ეტლებით შეჯიბრებაში უძლიერესი იყვნენ რსფსრ და უკრაინის წარმომადგენლები.

ანგარიშით 14:0. ამავე რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა ისინდში ასევე საქართველოს ცხენოსანთა წარმატებით დამთავრდა ანგარიშით 12:8.

ჩვენი პრიზები, სტიპლ-ჩეზი

საქართველოს პრიზი გათამაშდა დოღში 1.800 მეტრზე. მხედრებს შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხენოსნები, მაგრამ მათი მაჩვენებლები წარუმატებელი სტარტის გამო დაბალი იყო. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ა. ბოლდირევი (ყაზახეთი) და პრიზიც მას ხვდა.

მეორე დოღში კავკასიის პრიზზე (3.000 მეტრი) ფინიშამდე ლიდერობდა საქართველოს ცხენოსანი ხ. ხასია, მაგრამ უკანასკნელ მოხაკვეთზე მან დათმო პოზიცია და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველობა ხვდა უზბეკეთის წარმომადგენელს რ. აბდურაზაკოვს.

სტიპლ-ჩეზი ცხენოსნობის ურთულესი სახეობაა. 4.000 მეტრის ყოველ კილომეტრზე 3-4 წინაღობა უნდა გადალახონ. აქაც შეუპოვარ ბრძოლაში საქართველოს ცხენოსანმა ო. ხაინდრავამ ხელიდან გაუშვა გამარჯვების რეალური შანსები და მეორე ადგილი დაიკავა. პირველი იყო რ. სამოსედმენაო (რსფსრ, 5 წუთი და 38 წამი).

ვიმართა კიდევ რამდენიმე დოღი, სხვადასხვა თამაში, რომლებმაც მოწონება დაიმსახურა. ცხენოსანთა დიდი პაექრობის პირველმა დღემ ჩინებულად ჩაიარა, მორიგი შეხვედრები შედგება 9 სექტემბერს.

ვ. გაბელია.

* * *

სურათებზე: დოღი 2.000 მეტრზე მშვიდობის პრიზზე; ცხენბურთის თამაშის მომენტი საქართველოსა და სომხეთის გუნდებს შორის; დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებული მ. ბოლქვაძე (საქართველო); შეჯიბრება ორთვლიანი ეტლებით 1.600 მეტრზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



მოგზეიმე მხედრობა





„სიურ ფაფახი“, ცხენგურთი, ისინდი

ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებთან ერთად მიმდინარეობდა ეროვნული თამაშების ჩვენება. „სიურ ფაფახი“ აზერბაიჯანული ასპარეზობაა და ნიშნავს — ასწიე ქუდი. იგი წაადგას კალათბურთს, ამიტომ ხშირად მას ცხენოსნურ კალათბურთს უწოდებენ. თამაში იმით გამოირჩევა, რომ ცხრის ტაყვისაგან გაკეთებული ბურთი-ქუდი გუნდმა უნდა ჩააგდოს კალათში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის და ტაჯიკეთის გუნდები. გაიმარჯვეს აზერბაიჯანელებმა 2:1.

საერთო მოწონება დაიმსახურა შეჯიბრებამ ცხენბურთში საქართველოსა და სომხეთის გუნდებს შორის. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ

მ. ბოლქვაძის ფინალური ოლიმპიადა

ბოლქვაძემ ეროვნული ბურთი-ქუდი ცხენზე ამოიღო, ეტაკა ბურთს, ჩააგდო ბურთი კალათში. ეს ბურთი ბოლქვაძემ ოთხჯერ ჩააგდო. ეს ფინალური ოლიმპიადა ბოლქვაძემ ერთ-ერთ ბურთზე ოთხჯერ ჩააგდო. ეს ფინალური ოლიმპიადა ბოლქვაძემ ერთ-ერთ ბურთზე ოთხჯერ ჩააგდო.

ჭადრაკის „ვარსკვლავთა“ ფორუმი სოხუმში

დღეს სოხუმში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. პაექრობისათვის ყველაფერი მზად არის.

უცხოელ მოჭადრაკეებს დღეს, ან ხვალ დილით მოელიან. ერთი, კარ-ძოდ იუგოსლავი **მილუნკა ლაზარევიჩი** ადრე გვეხატუბრა. საბჭოთა პრეტენდენტები უკვე რამდენიმე დღეა ტკბებიან აფხაზეთის „ოქროს“ შემოდგომით.

ვისარგებლეთ შემთხვევით და ვესაუბრეთ ტურნირის მსაჯთა კოლეგიის წევრს, აფხაზეთის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარეს **რ. კაკიაშვილს.**

— პრეტენდენტთა ტურნირი ნამდვილად საჭადრაკო დღესასწაულია, ამბობს იგი. დღეს ეს შეჯიბრება საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. მან უნდა გამოავლინოს მსოფლიოს ჩემპიონ ნონა **გაფრინდაშვილის** მომავალი მეტოქე.

პრეტენდენტთა ტურნირები იმართება 1952 წლიდან. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ყველა ტურნირში (იგი ოთხჯერ მოეწყო) გამარჯვებული საბჭოთა მოჭადრაკე გამოდიოდა. უკანასკნელად, 1961 წელს იუგოსლავიაში პირველი იყო ნონა გაფრინდაშვილი.

ხომ არ დაგვიახლოვდეთ ტურნირის მონაწილეებს?

— ასპარეზობაში 10 ქვეყნის 18 მოჭადრაკე ჩაებმება — აი ისინიც: იუგოსლავები **მილუნკა ლაზარევიჩი, ვერა ნედელკოვიჩი, კატერინა იოვანოვიჩი,** ამერიკელები **ლიზა ლეინი, გიზელა გრესერი,** რუმინელი **მარგარიტა ტეოდორესკუ,** უნგრელი **ევა კარაკაშნე,** პოლონელი **ჰენრიკა კონარკოვსკა,** ჩეხოსლოვაკელი **კვეტა ერეტოვა,** ბულგარელი **ანტონინა ივანოვა,** არგენტინელი **სელია ბოდო** დ **მოსჩინი,** მონღოლი **ცენდი** და საბჭოთა მოჭადრაკეები **ელისაბედ ბიკოვა, მაია რანიკუ, ვალენტინა ბორისენკო, კირა ზვორიკინა, ტატიანა ზატულოვსკაია** და **ალა კუშნირი.**

— თქვენი აზრით ვის აქვს გამარჯვების მეტი შანსი?

უფლება არა მაქვს ჩემი შეხედულება გამოვთქვა, რაც არ უნდა იყოს „მოსამართლე“ ვარ და დუმილს ვარჩევ. თუმცა არ გამიკვირდება რომ საბჭოთა ოსტატებმა არ დაარღვიონ ტრადიცია. სხვათაშორის ტურნირში ჩვენი მოჭადრაკეებიც მიიღებენ მონაწილეობას. მხოლოდ ისინი — **ქსენია გოგიჩაშვილი** და **ლილი წეროძე** მსაჯები იქნებიან. ვიმედოვნებ რომ ტურნირი უაღრესად საინტერესო იქნება როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

ჭადრაკის „ვარსკვლავთა“ ფორუმზე ბევრი სტუმარი ჟურნალისტი და ჭადრაკის მოყვარული ჩამოდის. დღეს მოველით მსოფლიოს ჩემპიონს **ნონა გაფრინდაშვილს** და მთავარ მსაჯ. **3. ტიხომიროვს.** გროსმეისტერი და ჟურნალისტი **სალო ფლორი,** რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს მოუთხრობს ბრძოლის პერიპეტიებს, უკვე სოხუმში იმყოფება.

თ. გიორგაძე.

სპეც. კორ.

ქუთაისელთა გამარჯვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). როგორც ცნობილია, წინა შეხვედრაში იაროსლავლის „შინიკთან“ დამარცხების შემდეგ, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა სატურნირო ცხრილს ბოლოში გადმოინაცვლა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქუთაისელებს ძალები არ ეყოფოდათ მორიგ შეხვედრაში გამკლავებოდნენ მოსკოვის „ტორპედოს“ — მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერს. მაგრამ, ეს ვარაუდი არ გამართლდა. მოხდა პირიქით.

როგორც მოსალოდნელი იყო, პაექრობას ორივე გუნდი საბრძოლო განწყობილებით შეხვდა.

თამაშში თავიდანვე მაღალი ტემპით დაიწყო და იგი ბოლომდე არ დამცხრალა. ქუთაისელებმა უკეთ აწყვეს თამაში, ყველა რგოლი რიტმულად მოქმედებდა, სტუმრების კართან გახშირდა სახიფათო მომენტები, კუთხურები — გოლი „მოწოფდა“.

მოლოდინს არ უნდა დაეგვიანებინა, და აი ლოგიკური დასკვნაც. ეს მოხდა 31-ე წუთზე. ჩხარტიშვილის კუთხური მეკარე კავაზაშვილმა მოიგერია, მაგრამ მას მიუსწრო ხაჟალიამ და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. კუტივაძე შეცვალა ისიანმა, ბატანოვი — მარუშკომ. ცხადია, სტუმრები ვერ ურიგდებოდნენ დამარცხებას. უნდა ითქვას, რომ ბოლო წუთებში მახსოვრელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. მეკარე ურუშაძე და მთელი დაცვა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ლიდერი დამარცხდა — 0 : 1.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ დღემდე თანაკლუბელები ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან ქუთაისელებმა მოიგეს სამი მატჩი, ორი ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთი თამაში წააგეს.

შ. ჯაფარიძე.

ფეხბურთელთა ინფორმაციული ბიულეტენი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 8 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	22	11	7	4	38-14	29
„დინამო“ (თბ.)	22	10	8	4	27-20	28
ცსკა	22	10	7	5	32-16	27
სკა (როსტ.)	22	11	5	6	31-18	27
„შახტიორი“ (დ.)	21	9	8	4	25-15	26
„დინამო“ (კ.)	21	8	9	4	30-19	25
„სპარტაკი“ (მ.)	22	9	6	7	25-18	24
„დინამო“ (მინ.)	22	5	13	4	13-10	23
„დინამო“ (მ.)	20	7	8	5	21-15	22
„ზენიტი“ (ლ.)	23	7	6	10	21-26	20
„კრ. სოვ“. (ყუბ.)	22	5	9	8	14-25	19
„ტორპედო“ (ქ.)	24	7	5	12	11-30	19
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	22	5	8	9	15-21	18
„შინიკი“ (იარ.)	22	5	8	9	18-30	18
„ვოლგა“ (გ.)	22	5	8	9	11-27	18
„ყაირატი“ (ალმ.)	21	5	7	9	17-21	17
„მოლდოვა“ (კიშ.)	22	4	4	14	10-32	12

საერთაშორისო შეხვედრები

□ **სსრ კავშირის** წყალბურთელთა ოლიმპიური ნაკრები წარმატებით გამოდის ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირზე. მესამე მატჩში მან დაამარცხა რუმინეთის ახალგაზრდული გუნდი 7 : 1.

□ **ფრანგბურთელთა** პარიზის საერთაშორისო ტურნირზე შეიგება უკანასკნელი მატჩები. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მოუგო რუმინეთის ნაკრებს 3 : 2. ამრიგად, სსრ კავშირის, ბუქარესტისა და ვარშავის გუნდებმა მოიგეს ორ-ორი შეხვედრა, წააგეს თითო თამაში და პირველი სამი ადგილი გაინაწილეს.

□ **გუდაკეუეტში** დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. პირველობისათვის მებრძოლი ათი გუნდი გაყოფილია ორ ქვეჯგუფად. სსრ კავშირის გუნდი შევიდა „ა“ ქვეჯგუფში, სადაც გამოდიან უნგრეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდები. გუშინ საბჭოთა კალათბურთელებმა მოუგეს იუგოსლავიის გუნდს 68:37.

საბჭოთა პილოტები — მსოფლიოს ჩემპიონები

ესპანეთის ქალაქ ბილბაოში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება უმაღლეს პილოტაჟში. წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის მფრინავები. ვაჟთა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ვიტოლდ ოგანოვმა, ქალთა შორის — რაზანია ზანიზანმა.

ოლიმპიელთა წარმატება

გუშინ მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. გაიმარჯვეს სსრ კავშირის ოლიმპიელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა პროფკავშირთა გუნდი, მეექვსე — „დინამოს“ კოლექტივი.

„კრილია სოვეტოვი“ ფინალში

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. კუიბიშეველებმა აღმავლობით ჩაატარეს ბრძოლა, მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:2 და ფინალში გავიდნენ.

დღეს მოსკოვში შედგება მეორე ნახევარფინალური პაექრობა კიევის „დინამოსა“ და დედაქალაქის „სპარტაკის“ გუნდებს შორის.

მატჩი ლენინგრადში

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 3:0 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური ტრასის გამოცდასთან დაკავშირებით მთავარი გზის სამმართველო მოსახლეობას, წარმოების ხელმძღვანელებს და ყველა ორგანიზაციის მუშაკებს აცნობებს, რომ **1964** წლის 12 სექტემბრის 00 საათიდან **1964** წლის 14 სექტემბრის 6 საათამდე მაგისტრალური ტრასის გაყოლებით სამხედრო გზაზე სოფელ ეინეგალიდან ლარსის დასახლებამდე **შეწყვეტილი იქნება ხალხისა და ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა, აგრეთვე შეწყდება პირუტყვის გადაყვანა.**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარი გზის სამმართველო

სპორტის სასახლე

8-9-10 სექტემბერი

ესტონეთის ესტრადის ოსტატთა დიდი კონცერტი

სსრკ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის

გეორგ ოტსის მონაწილეობით

საესტრადო ორკესტრი

მხატვრული ხელმძღვანელი **ფელიქს მანდრე**

ესტონეთის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატები

ჰელი ლიაგსი და **კალმერ ტენოსარი**

ესტრადის მსახიობთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატები

იური დრუზინი და **სერგეი ფაბკინი**

ნინა ვოიკა და **იური პიარგი**

რიხარდ მელდერი, პეტრე ლიუბაროვი

ვალენტინ ლეონიდოვი

(კონფერანსი)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში. მიიღება განცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.

ტელ.: 7-20-54, 7-20-02, 7-01-53.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

9 სექტემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.25 — კინონარკვევი „მუდამ მზად ვიყოთ“, 18.55 — გადაცემა — „ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული“, 19.10 — ბულგარეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 19.50 — გადაცემა — „ოლიმპიური ლატარია“, 20.00 — კინონარკვევი „ექსტაზის მარწუხებში“, 20.15 — გადაცემა სოფლის მეურ